

ლიცეოს სტუდენტი სამუხია



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზემი „საშურის მოამბის“ ღამატიპა
№1, 1 თებერვალი, ორშაბათი, 2021 ველი

ალილუია!

ღვს ხელახელზე გაყოვალა ცოდვა და მადლი...
ცამ ჟა ხახნორა ზოდაქოს სხაგათ დახნაჯა...
ანი, ანი ყმათა მარჯვინახნა, დათება ხანოლას,
თუ ანი გაგყება ხათბოება, ვახულს ცაძინადას!
... მოღვდავ ადამას, ვახეხადას შვს თავს ცანოდა,
ხლოვ ხაჯახას? შვახეგზე სული ხეყულია?
თუ ყლოვ ზეამობს აუღველოთ მევე ანოდა,
თღვს თავღება ხახლათა ათახლვეულია?!
ღვს ბადლონში მამათრეგვს ყელზე ხადელიათ,
უხდათ, ამოქვოვინ უცხი ხალოვს, ზნეს და ხაქვავლს!..
აღვინება ხმანდა ხამებადას ხანძინას ხათელია
და, ამავთმავ, ხადლოთოდ, გენ ხამაქვავს!
... ალინი ხეანღება ამას ახლა ხონჯინადამუხა, —
მველება მამგნაას ხაქანოველოთ ცხვინებას ხამონათ!
ჟუა, ლეგნს ყოვას, უახყოვალ ყავთმას ლეგნსას!..
სხვათა ზავინობა ხახლათი მონხეულ ყან-მადამონას!..
... ან მაცხოვანოვ ანი აქნება შენი დამხსნელია,
ხაყოთანი მამზე თუ აქნება ყლოვთავ დადვეულია!
ბეყოვას ამქდა ვადანღვინას უახახხეულია,
ახე, ვათ ყოვხა ბათინებას, ცუხზე მადგმულია!
... ალილუია!.. ჟინახეშობას ზეამობს ხალოხა,
ამან! უვალთ, გენ ხამალოთ ლეგნა ხალოვას!..
მოღას ყმახგალია, ავთახდალას, მხვახანა ხახათ,
ხანოს ჟანთი ხელში, ხავლოთბლიათ და ხახალოთათ...
... შვეუღვათ ლანა ხაყვანოლას ხეანთ, დახნეჯავლს,
გვეყოვთ, სხვათა ხამებლოდ ნავ ჟენა გბნენათ!!!
გამქნით ხვალას ბალოვანა მხოლოდ ვახქვინეჯათ! —
„დამხსენ, ამოგენ, ყნოვხა ლეგნა, ცხოვანთა ლეგნა...“
... თუმიკ ვაყოვანს მანთონს შვენას სხვა ხანეველია,
მანც მინშენბათ ამონება ღვს ცაძინას ბქენა!
მოუძლოვს ცახანთს ყნოვათ ხელში ხახანეველია —
„მე ვანი გენახა, დამანხნეთ მცხებახა ლეგნა...“
... ვდართ მაცხოვანთ, თუთა ვამბობთ: „ლეგნთას ანი ლმენთა!“
მონახეგბათ ვამოვახსნათ მომავლას ღვინა!
ამა, ალღვთმა ქვეშანოვთ, ალღვთმა მყდნეოთათ!
„დამხსენ, ამოგენ ყნოვხა ლეგნა, ცხოვანთა ლეგნა...“

იქნე ამამყველი

იუმორესი



შვეული ცეშელაშვილი

ვიზიტი

ზამთარია, თოვლ-ჭყაპი. მთელი მსოფლიო შეძრწუნებულია კოვიდ-19-ის ინფექციით. შიში და დაბნეულობა სუფევს ირგვლივ...

სწორედ ასეთ დროს დამჭირდა ექიმთან ვიზიტი. ადგილს არ დავასახელებ, თუ სად ხდება მოქმედება და, არც ექიმის ვინაობას! ხომ გაგიგონიათ: ეშმაკი წყლისფერიაო... იყოს ის თავისთვის, ჩვენ კი დევ - ჩვენთვის!

პატარა მოსაცდელი, ბევრი ხალხი და ნაირ-ნაირი ამბები... თვალში მოსახვედრია ეკიპირებული სამედიცინო

პერსონალი და კომბოსტოსავით შეხვეული პაციენტები. ხშირად კარის მეზობლებსაც უჭირთ ერთმანეთის ცნობა. ხმა რომ ხმაა (რომელიც მტად ინდივიდუალურია), ისიც კი შეცვლიათ პაციენტებს, პირბადის ტარების გამო.

ვიზიარ ფოიეში დამცავი სათვალეებით, პირბადით და ხელთათმანებით მორთული (ამ წუთში უფრო შესაფერისი სიტყვა არ მაგონდება) და ველოდები ჩემს რიგს. არა, „კორონა“ ვირუსი არ მაქვს, მაგრამ მაინც, სიფრთხილეს თავი არ სტკივავ, გამიგონია. სულ სხვა საქმეზე ვარ მოსული - შეკითხვა მაქვს ექიმთან, ნამღების დაფინანსებასთან დაკავშირებით.

როგორც იქნა, მოვიდა ჩემი რიგი და მალე უბნის ექიმის კაბინეტში აღმოვჩნდი. ოთახში ორნი ისხდნენ (სავარაუდოდ, კოლეგები) და ისე იყვნენ ერთმანეთთან კამათით გართულნი, რომ არც ჩემი შესვლა გაუგიათ და არც მისალმება. თვალი სკამისკენ გაემქცა, მაგრამ თავი შევიკავე, თვითნებურად არ დავვუქე.

ასე ვიდექი 5 წუთამდე მაინც, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, - არავინ იფიქრა, უბრალოდ, შემოხედვაც კი. მოზომილი ტონით ვიკითხე:

- უკაცრავად, შეიძლება ჩამოვვდე?
- შეიძლება, ოლონდ, მანდვე! - მკაცრად მიმითითა ექიმმა მისგან მოშორებით მდგარ სკამზე. მერე ისევ საუბარში ჩაერთო. ჩემკენ არც გამოუხედავს.

როგორც ლოგიკით მივხვდი (გამორიცხვის მეთოდით ჩავრთე), წინა პაციენტზე იყო საუბარი. სულ რამდენიმე კონკრეტული ტექსტის მოსმენა დამჭირდა, რათა დავრწმუნებულიყავი იმაში, რომ ქალბატონი ექიმი შორს იყო ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულებისგან. მხოლოდ ერთი „მარგალიტიც“ საკმარისია მოსმენილი საუბრიდან და ყველაფერი ცხადზე უცხადესი გახდება:

- ოლონდ თავიდან მოიცილონ (იგულისხმება წინა პაციენტი) და ყველა ძალსა და მამაძალს აქეთ გამოგზავნიან!

აბა, რას ვაკეთებ მე ამ დროს? არაფერსაც არ ვაკეთებ, მხოლოდ ერთი ჩავახველე და, როგორც იქნა, ექიმმაც ყურადღების ღირსი გამხადა.

- თქვენი სიმპტომები? - დასვა რიტორიკული შეკითხვა ისე, რომ ჩემთვის არც კი შემოუხედავს (ახლა მივხვდი, თუ რატომ შემომთავაზა ცოტა ხნის წინ მოშორებით მდგარი სკამი).

- არავითარი, ჩემო ბატონო! - იყო ჩემი პასუხი.
- ბატონო? - ამომხედა სათვალის ქვემოდან.
- პატივცემულო ექიმო, (ხაზი გავუსვი მიმართვის ფორმას) მინდოდა მეთქვა, რომ ვირუსული ჩივილები არ მაქვს. მე გაეახელით...

...ჩემთვის საინტერესო შეკითხვაზე უარყოფითი პასუხის მიღების მიუხედავად, ექიმს მაინც ზრდილობიანად დავემშვიდობე და წამოდგომა დავაპირე.

- სხვა არაფერი გნებავთ? - მეკითხება ისევ. ეტყობა, თავაზიანობამ მოუღებო გული, ანდა...

- არაფერი. რასაც უფასოდ ვერ გთავაზობენ, სხვა რა გზაა, უნდა იყიდო. ჩვენ, ჟურნალისტები, კანონმორჩილი ხალხი ვართ! - ამის თქმა და კარისკენ ნაბიჯის გადადგმა თითქმის ერთდროულად მომივიდა.

- ცოტა ხნით დამელოდეთ, - თქვა ექიმმა შემცბარი ხმით და ... საკმაოდ თავაზიანადაც.

შემდეგ, ჯერ კომპიუტერში გადაამონმა (სავარაუდოდ, ჩემი პროფესია) მონაცემები, შემდეგ კი რალაცას დაუნყო ძებნა უჯრაში. ბოლოს, ორჯერ წარმოთქვა: „ვიპოვე, ვიპოვე!“

და ... ხელში ნამღების ფასდაკლების ბარათი შემომაჩეჩა!..

პრეტენზიული სადედამთილო

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების ბოლოს რაიონის ერთ-ერთ მაღალმთიან სოფელში დროებითი სამუშაო გამოიმჩნა და, სიმართლე გითხრათ, უარი არ მითქვამს. მით უფრო, როცა იმ სოფლის სიახლოვეს ჩემი უსაყვარლესი და უახლოესი ადამიანი ცხოვრობდა. მათთან დავიდე ბინა. თავს ისე ვგრძნობდი, როგორც თევზი - წყალში. ჩემს სოფელში მხოლოდ შაბათ-კვირას მივდიოდი. მართალია, ყოველ დღე ოთხი კილომეტრის (აქეთ-იქიდან) გავლა მინევდა, თანაც, მკვეთრი აღმართ-დაღმართებით, მაგრამ არაფრად მივიჩნევდი, - ჩვენი ცხოვრებაც ხომ აღმართ-დაღმართებია.

ამ ამბიდან სამი-ოთხი წელი იქნებოდა გასული. უკვე ქმარ-შვილის პატრონი ვარ და, ისევ, იმ ავტობუსით ვმგზავრობ, რომლითაც ადრე, ქალიშვილობისას დავდიოდი სამსახურში. ამჟამად, ჩემს უახლოეს ადამიანთან მივიჩქაროდი საქმეზე და ბავშვიც ვერ წამოვიყვანე, დედაჩემს დავუტოვე.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ავტობუსში ნაცნობი შევამჩნიე. ერთმანეთის დანახვა ორივეს გვესიამოვნა. ნაცნობი ჩემი მეგობრის და იყო, - გათხოვილი იმ სოფელში, სადაც მე უნინ ვმუშაობდი. მაშინ სიფრიფანა გოგო ვიყავი, ახლა უკვე - თვალმისაცემად სოლიდური „დამა ქალი“, როგორც ეს ერთ-ერთმა მგზავრმაც აღნიშნა.

შესამჩნევი ვიზუალის გამო, რა თქმა უნდა, ჩემმა ნაცნობმაც გამოთქვა საკუთარი აზრი. შემდეგ იყო მიკითხვა-მოკითხვები და, საუბარში ისე სწრაფად და შეუმჩნეველად მოვიდა ჩემი ჩასვლის დრო, რომ არაფერი გამიგია. დავემშვიდობე ნაცნობს და, ალბათ, ასე დამთავრდებოდა ყოველივე, რომ არა იმციდენტი, რომელსაც ახლა გიამბობთ:

სად იყო უნინ მობილური ტელეფონები? ნაცნობ-მეგობრები წერილებით ვუკავშირდებოდით ერთმანეთს. ჰოდა, მეც მივიღე მეგობრისგან (სწორედ მისი დისგან, ვინც ავტობუსში ვნახე მაშინ) წერილი, რომელმაც, როგორც ყოველთვის, ძლიერ გამახარა. განსაკუთრებით ვიხალისე წერილის იმ ნაწილზე, სადაც მეგობარი მწერდა: ავტობუსიდან შენი ჩამოსვლის შემდეგ ერთი ქალი გამოლაპარაკებია ჩემს დასო.

- ეს ის გოგო არ არის, ჩვენთან რომ მუშაობდა ადრე?! - დადებით პასუხს მოჰყვა, თურმე, დაახლოებით ასეთი მონოლოგი:

- ეს როგორ დამემართა! რატომ დავინუნე სარძლოდ! რა კარგი ქალი დამდგარა! როგორ დამშვენებულა, გალამაზებულა! როგორ მოხდენია გასუქება! რატომ ის ენა არ გამიხმება, რომლითაც ვთქვი, ამან რა ოჯახი უნდა აწარმოოს, - სული რომ შეუბერო, ნაიქცევავო! ახლა როგორ უხდებოდა ის წითელი კაბა! - ამბობს თავის კატუნით, თურმე, ჩემი დამწუნებელი. ცხონებული ნოდარ დუმბაძისა არ იყოს: „სად მაქვს კბილები ნენა,“ - რომ თქვა ოღლა ბებია, ზურიკელას მასწავლებლის მიერ გამოგზავნილი წერილის ნაკითხვისას, ჰოდა, ვერ დაგეთანხმები, ჩემო პრეტენზიულო ქალბატონო, კაბა, დანამდვილებით მახსოვს, რომ წითელი ფერის კი არა, მწიფე შინდისფერი მეცვა.

- შენმა ბიჭმა დაგიჯერა, ალბათ, და, - სცადა, თურმე, სასურველი სარძლოს მაძიებელი სადედამთილოს შელაპარაკება ჩემმა ნაცნობმა, ალბათ, თავი მოაბეზრა მასაც და სხვებსაც ამდენი ვიშვივით.

- ჩემმა ბიჭმა? - ქალმა ცოტა ხნით შეწყვიტა ქოთქოთი. მერე, ისეთი რამ დააზღერთა, ისეთი, რომ...

- ჩემი ბიჭი და ის გოგო... საერთოდ არ იცნობდნენ ერთმანეთს!!!

თავი მოვიდა

ქუთაისში, ჩვენს დიასახლისს ხშირად სტუმრობდნენ შეილოშვილები - 6-8 წლის გოგონები. უფროსს ნინო ერქვა, უმცროსს კი - ნატო. გოგონებმა ბევრი ლექსი იცოდნენ ზეპირად და მეც ვათქმევიანებდი, როცა ამის დრო მქონდა.

ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ჩემი ოთახის ფანჯარასთან ვიდექი, როცა მალა, ვერანდიდან მკაცრი საუბარი შემომესმა:

- გოგო, ხომ შეიძლებოდა, ბავშვს შიშისაგან გული გასკდომოდა! მერე რაღას იზამდი?! მეორედ ასე აღარ მოიქცე! თუ არა, დედაშენს ვეტყვი და...

ყურადღებას არც მივაქცევდი ამ სიტყვებს, ტირილიც რომ არ გამეგონა, თანაც, ორ ხმაში! ავედი ვერანდაზე და რას ვხედავ: ნინო გასაშლელ სანოლზე ზის და მოთქმით ტირის, ნატო კი სანოლის კიდეზე ჩამომჯდარა და ისიც ტირილით პასუხობს ბიცოლას დასმულ შეკითხვებს. თურმე, ნუ იტყვით, ნინოს, რომელსაც პანიკურად ეშინოდა თავის, ვერანდაზე ეძინა, როცა მასთან ნატო მივიდა და თავზე დაჰყვირა:

- ნინო, ნინო, ჩქარა ადექი, ჩქარა! თავი მოვიდა, თავი!

საწყალ ნინოს ისე შეშინებია, რომ უაზროდ წამოვარდნილა და უხერხული წამოდგომისას სანოლი თავზე დამხობია! სწორედ ამიტომ ტუქსავდა ბიცოლა ნატოს. ის კიდეც, თავისი ჭკუით, თავს იმართლებდა:

- დალი ბიცოლა, ნინოს შეშინება აზრადაც არ მომსვლია! მინდოდა მეთქვა: ნინო, სანოლი იქცევა, არ გადმოვარდე და, უცებ, „თავი მოვიდა“ დამეძახა! - დაამთავრა ნატომ და ბანი მისცა შიშისაგან აზლუქუნებულ დაიკოს.

ამ მონოლოგის მოსმენის შემდეგ, ორივეს - მეც და დალისაც გაგვიჭირდა სიცილისაგან თავის შეკავება. როგორც იქნა, დავანყნარეთ გოგონები.

რამ გამახსენა ეს ამბავი: მაშინდელი - მე-20 საუკუნის 70-იანი წლების 6-8 წლის გოგონები ახლა, უკვე დედათილები არიან და „ფეისბუქის“ საშუალებით მეგობრობას მთავაზობენ... ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაგვეხარდა ერთმანეთის პოვნა! გაუკვირდათ, თუ როგორ მახსოვდა ასე, დეტალურად, ყველაფერი. მართლაც და, რა სწრაფად გადის დრო, დაუნდობლად სწრაფად!

ფინანსური ჩანაწერები



მაიელა ხაიძე

გზაჯვარედინზე

ახლა შენ ცხოვრების გზაჯვარედინზე დგახარ და ქართული ზღაპრის იმ პერსონაჟით ფიქრობ, რომელმაც არ იცის, საით წავიდეს, რომელ გზას დაადგეს: საადვილოს, სათუოს, თუ სახიფათოს.

ძლიერი ნებისყოფის გმირი, რომელმაც ძნელადსავალი გზა აირჩია, მრავალი ხიფათიანი თავგადასავლის შემდეგ შინ გამარჯვებული ბრუნდება.

და აი, შენც გზაჯვარედინზე დგახარ... ძნელი არჩევანი გხვდა წილად. ბევრი უნდა იფიქრო, ცდუნებამ არ გძლიოს, თორემ, თუ ერთხელ აცდი „თეთრ გზას“,

შემდეგ გაგიჭირდება, მართალი კაცის სახელით იარო ამქვეყნად. კარგად დაუფიქრდი, ცთომილებისაკენ ბევრი გზა მიდის, ჭეშმარიტებისაკენ კი მხოლოდ ერთი და ფიქრი, მართლაც, რომ გმართებს.

ირგვლივ მიმოიხედე, პატიოსანი კაციც ბევრი ცხოვრობს, იქნებ უჭირდეს კიდევ (სინამდვილე რომ შეინარჩუნო, ძლიერი უნდა იყო!) აკი, ამბობდა ბატონი კონსტანტინე – ძლიერებს უფრო უჭირთ ამქვეყნად, ამიტომაც, მუდამ აღრენილი დადიანო ლომები, ვეფხვები და ავაზები, თავგები და ციყვები კი მუდამ მხიარულად დაცუნცულულებენო.

გახსოვდეს, რომ ცხოვრება ბრძოლაა, ბრძოლაში კი ძლიერები იმარჯვებენ, თუმცა, დიდების კვარცხლბეკზე ზოგჯერ უღირსნიც ადიან, მაგრამ არა მგონია, ყალბი დიდება კაი კაცობის გვირგვინი იყოს.

„რად გინდა სხივი ყალბი დიდების,“ – წერს ესენინი „დედის წერილში“... ნურც შენ მოინდომებ.

სკოლა როგორ დაამთავრე, ესეც საკითხავია. გული ნაადრევად ხომ არ გაგტეხია? იქნებ, შენ გვერდით ზოგჯერ უსამართლობა ხდებოდა. იქნებ, სკოლა ისეთმა მოსწავლეებმა დაამთავრეს „ფრიადზე“, წლის განმავლობაში „კარგი“ შეფასების მეტი რომ არ დაუმსახურებიათ? შენ გული მაინც არ გაიტეხო, სულით ნუ დაეცემი, „უიმედობის უფსკრულმა არ შეგაშინოს“.

საბავშვო ბაღიდანაც ხომ არ გამოგყვა გულნაკლულობა? ჯერ კიდევ პატარას თვალები ცრემლით ხომ არ დაგნამვია, როცა შენი კბილა თამუნა და გია მამიკოს მანქანით მოუცილებია? ლექსებიც ხშირად მათთვის უთქმევინებიათ ზეიმზე. შენ კი, სადღაც, კუთხეში მიყუჟული, არავის გახსენებინარ... ნუ გაკიცხავ შენს აღმზრდელ-მასწავლებლებს ამისათვის.

შენი თანაკლასელი რომ რეპეტიტორთან ემზადება, შენ შურით ნუ აივსები, გულს ნუ მოინამლავ, ნურც მას და ნურც მის მშობლებს ნუ გაკიცხავ, მათი ბრალი არ არის. უფრო მეტი ენერჯით იმეცადინე და მიზანს აუცილებლად მიაღწევ. იოლ გზას კი ძებნას ნუ დაუნყებ, დრო კიდევ წინ არის, რწმენა არ დაკარგო!

ამასწინათ ერთ ოჯახურ საბჭოზე მოვხვდი, რომელსაც ოჯახის მთელი შემადგენლობა ესწრებოდა. დღის წესრიგში მხოლოდ ერთი საკითხი იდგა – ვაჟიშვილის ინსტიტუტში მონყობა. სიტყვაში ოჯახის ყველა წევრი გამოვიდა. მათ ბევრი იმსჯელეს გავლენიან ნაცნობ-მეგობრებზე და დაადგინეს, რომ გიორგი (ასე ჰქვია იმ ვაჟს) წელს, უთუოდ უნდა ჩაირიცხოს სამედიცინო ინსტიტუტში. ალბათ, ჩაირიცხება კიდევ. მაგრამ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ როგორი იქნება გიორგის გზა?... (შენ, ალბათ, გელიმება) მე კი მგონია, გიორგის ნაცვლად სხვები „იცხოვრებენ“, მას კი, საკუთარი ჩრდილიც აღარ ექნება. ღირს ასეთი სიცოცხლე?

ახლახან ერთმა პროფესორმა დაიჩივლა: „ნათესავმა მთხოვა, ქალიშვილი ინსტიტუტში მომიწყეო, უარი არ გამივიდა. გავესაუბრე ქალიშვილს და მამამისს დავეპირდი, აუცილებლად მოგიწყობ-მეთქი. ის ქალიშვილი ჩემი დანებების გარეშე ჩაირიცხა ინსტიტუტში და დღესაც „ფრიადზე“ სწავლობს, მამა-შვილი კი ჩემი დიდი მადლიერია და... მე მრცხვენია (მამის კი არა,) იმ ქალიშვილისა. ვფიქრობ, სიმართლე ვუთხრა, ახალგაზრდას რომ საკუთარი თავის რწმენა გაუჩნდეს.“

სასწავლებელი, რომელსაც შენ დაამთავრებ, მარტო განათლებას და დიპლომს კი არა, დიდ გამოცდილებასაც შეგძენს, ისწავლი ადამიანებთან ურთიერთობას, კეთილისა და ბოროტის გარჩევას, თითოეული გამოცდა ცხოვრებისეული გამოცდის ტოლფასი იქნება.

მე უკვე ვიცი, როგორ იცხოვრებენ ჩემი თანაკურსელები. ერთნი იოლ გზას აირჩივეს (როგორც ინსტიტუტში სწავლის დროს), მეორენი მტკიცედ, შეურყეველად გასწივეს ცხოვრების ჭაპანს, საკუთარ მრწამსს არ უღალატებენ.

ცხოვრება ბევრი მოულოდნელობით არის სავსე. იქნებ, ძალიან გაგიჭირდეს, მეგობრებიც სადღაც გაიფანტონ, შენ მაინც სულით ნუ დაეცემი („გულს მომავალი აცოცხლებს მხოლოდ“), საზოგადოებას ნუ გაეთიშები, განდევნილით ნუ იცხოვრებ. მარტოობა მარტო გონებას უჩენს საფიქრალს, სხეულს კი უმოქმედობისაკენ უბიძგებს. ცხოვრება კი მხოლოდ მოქმედებაშია.

უნდა დაინვა, ანთება რომ შეძლო და მუდამ გახსოვდეს: „ვნებისა და წამების სიღრმით იზომება სიმაღლე კაცთა“.

შენ კი ისევ გზაჯვარედინზე დგახარ და ფიქრობ...

რა არის შენი სიცოცხლის არსი...

იმ დღეს საოცრად მაღალი იყო ზეცა. გამომწვევად ჩურჩულებდნენ გზის პირას აყელყელავებული გვირილები. წრომის ცამეტსაუკუნოვანი ტაძარი უცხოელ სტუმრებს ელოდა. სასულიერო და საერო მსახურთა მუდმივი სასუფეველი ტაძრის ეზოში მინდვრის ყვავილებით შეემკოთ მასპინძლებს. საზეიმო ელფერი დასდებოდა რუხ, დასვედიანებულ კედლებს.

დიდხანს ელოდნენ სასურველ სტუმრებს რაიონის ხელმძღვანელები, სოფლის მოსახლეობა, ახალგაზრდულ კლუბ „მზეჭაბუკის“ წევრები.

მზემ შუბისტარზე აინია, ჩრდილები გაცოცდნენ ტაძრის ეზოდან. ბიჭებს საფლავების გვერდით, მწვანე მოლზე ჩაემუხლათ, დადუმებულიყვნენ.

– როგორი შენუხებული სახეები გაქვთ, მოხდა რამე? – ვკითხე შეშინებულმა.

– ადამიანის ცხოვრებამ ჩაგვაფიქრა. სული აგვიფორიაქა ნუთისოფლის სიმუხთლემ, – გამომეპასუხა ცინფერთვალა ჭაბუკი. მერე ლევან ციციშვილის მეუღლის საფლავის ქვაზე ეპიტაფიის კითხვა დაიწყო:

„დრო და ჟამი ამ მწუხარებას განმიქარვებს, მაგრამ შენისთანა მეგობარს კი ვერსად ვერ ვპოვებ ჩემს სიცოცხლეში. ნუგეზად ისლა დამშთენია, რომ შენი საყვარელი მარო და ტასო ღირსეულად აღვუზარდო სამშობლოს და მით უკვდავყო შენი სახელი ამქვეყნად“. ეს ეპიტაფია ლევან ციციშვილს საკუთარი ხელით ამოუტვიფრავს საფლავის ქვაზე.

დიდხანს ხმა არავის ამოუღია. ადამიანის დანიშნულებაზე, ნუთისოფლის ამაოებაზე ვფიქრობდით ყველა...

რა არის სიცოცხლის აზრი, საზრისი? „იგი შეიძლება გავიგოთ, როგორც სწრაფვა, შინაარსი, მიზანი ან ღირებულება. ადამიანი არ კმაყოფილდება მარტოდენ არსებობით. მისი მისწრაფებაა, იცხოვროს შინაარსიანად, რაღაც გარკვეული აზრი, მიზანი ჰქონდეს მის ცხოვრებას.“

ვინ ვარ მე? რისთვის მოვედი ამქვეყნად? რა მისია მაკისრია? – ეს კითხვები სიყრმიდანვე აღელვებენ ჩვენს სულს „და გვაიძულებენ ფიქრით, რომ ამაოდ არ დავბადებულვართ, რომ მოწოდებული ვართ განვხორციელოთ სამყაროში რაღაც დიდი და გადამწყვეტი, რითაც განვხორციელებთ საკუთარ თავსაც და შემოქმედებით იმპულსს მივცემთ ჩვენში მთვლემარე სულიერ ძალებს, რომლებიც თითქოს ქმნიან ჩვენში „მე-ს“ ჭეშმარიტ არსებას“ (ე. კოდუა)

არიან ადამიანები, რომლებიც კი არ ცხოვრობენ, – არსებობენ. მათი სიცოცხლის არსი ფიზიკური არსებობის შენარჩუნებაა. ზოგიერთ მათგანს არც კი გააჩნია გარკვეული მიზანი, იდეა. იგი სიცოცხლის დასასრულს აღმოაჩენს, რომ, თურმე, სხვაგვარად უნდა ეცხოვრა, მაგრამ უკვე გვიანია, ცხოვრება ჩავლილია და ცრემლთა ღვრა ველარაფერს უშველის.

ზოგჯერ, არც თუ იშვიათად, გრძნობს ადამიანი, რომ მას რაღაც დიადის გაკეთება ძალუძს, მაგრამ რა არის ის „დიადი“ – არ იცის. ლერმონტოვის გმირი პეჩორინი დუელის წინ საკუთარ თავს ეკითხება:

„რისთვის ვიცოცხლე? რა მიზნისთვის დავიბადე? ალბათ, რაღაც მიზანი არსებობდა, ალბათ მაღალი დანიშნულება მქონდა, იმიტომ, რომ უზომო ძალებს ვგრძნობ ჩემს სულში, მაგრამ ეს დანიშნულება ვერ გამოვიცანი“...

... მოსალამოვდა. ტაძრის ჩრდილმა მთელი ეზო დაფარა. ცოტა ხნის წინათ დადუმებული ბიჭები ახმაურებულიყვნენ, ერთმანეთს რაღაცას უმტკიცებდნენ, კამათობდნენ, ყველა საკუთარ აზრს გამოთქვამდა ადამიანის დანიშნულებაზე, ცხოვრების მიზანზე:

ალეკო ლონდაძე – ხაშურის სახალხო თეატრის მხატვარი: „რასაც იტივრთებ ცხოვრებაში, ბოლომდე უნდა ზიდა. თუნდაც, წელში განყდე, მლოცველივით უნდა დაჩოქილი იდგე, რამე ჭეშმარიტი რომ შექმნა, სიცოცხლე უნდა შესწირო შენს მიზანს.“

გია ლამბაშიძე – ნავთობპროდუქტების მაგისტრალური სამმართველოს ინჟინერი: „ადამიანს უნდა უყვარდეს და მხოლოდ ეს სიყვარული გააკეთებინებს მას იმ კეთილშობილურ საქმეს, რომლითაც იამაყებს შემდგომ მისი შთამომავლობა.“

გიას სიტყვებმა ვან გოგი გამახსენა: „უნდა გვიყვარდეს, რაც შეიძლება, მეტად გვიყვარდეს, რამეთუ ძალა ჭეშმარიტ სიყვარულშია. ვისაც უყვარს, ის ბევრსაც ქმნის, ბევრი რამ ძალუძს და სიყვარულით რაც კეთდება, კარგად კეთდება“.

დავით შათირიშვილი – პოლიტიქნიკური ინსტიტუტის სტუდენტი: „შენი ენით სხვას არ უნდა ავნო, ფუფუნება არ იყოს შენი მიზანი, – ბაბუა მარიგებდა ხოლმე და მინდა, ამ შეგონებით ვიცხოვრო ამქვეყნად. სიკეთის მსახური მინდა ვიყო.“

ბეთჰოვენი განმიანდა ჩემს არსებაში: „მხოლოდ სიკეთეს მსახურობდე, სადაც კი ძალგის, ყველაზე მეტად შეიყვარე თავისუფლება“.

თამაზ ლაცაბიძე – მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი: „მე მიყვარს ჩემი ერის ისტორია და მინდა, ყველაფერ იმას, რაც ისტორიის კუთვნილებაა, თვალისჩინივით გავეფრთხილდე და ნირშეუცვლელად გადავცე მომავალ თაობას.“

გია კვინიკაძე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დიპლომანტი: „ბრწყინვალედ უნდა ფლობდე შენს პროფესიას, შენი ცოდნა და ენერჯია უნდა მოახმარო მამულის ძლიერებას და აყვავებას. „სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა, თუ არა მისი სიცოცხლე, ვერარას არგებს მამულსა“ (გრ. ორბელიანი).

რევაზ ნოზაძე – მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რესტავრატორი: „მე სიძველეთა დაცვა-აღდგენას ვემსახურები. მინდა, პირვანდელი სახე დავუბრუნო დაზიანებულ ნივთებს. სულით პედაგოგი ვარ და... კარგი მამულიშვილები მინდა, გავეზარდო ქვეყანას.“



საიუნა ჩივაძე

საკუთარ მეს

გამორთე ყველა განწყობა და
გამოდი გარეთ
და შორიდან შეხედე სევდას...
გამოდი გარეთ!
გამოექვც საკუთარ თვალებს...
იმედად სულის ხელადა გედგას...
შეემვი გვემას...
გახსენი გულის დარაბები
და დაანებე
სურვილს სურვილი!
შენც ხომ სუსტი ხარ,
დაილაღე მართლის წყურვილით!..
ნუ გკლავს ნუხილი...
ხელადა კი სულ ახლოს გედგას.
რამდენჯერ მითქვამს
და არ გესმის ჩემი, შენ, ჩემო...

გამოვკეტე სულში ფერი -
მზისგან ამონაჟური,
ლექსი - ჩემით ქარგული და
ველარ თქმული წარსული.
რომ ავხადო ხუფი ტკივილს,
სულ უფერო დავრჩები,
იცით, სიტყვა როგორ ტირის? -
საზრდობას ნაჩვევი.
გულის გულში კვლავ დავიტევ, -
ასე ხდება ოდითგან,
რითმა - ჩემი თეთრი შვილი
ასტრალიდან მოვიდა.
ის მზისფერი სასწაული
ჩანვა, ჩანდა სულეთში,
ეს დარდია, საწყაული, -
ცოდვის საუკუნეში!..
მტკივა გვამი,
მანც ვერ ვთმობ,
გადავრაზე გრძნეული,
მოდის ღამე, -
მთვარის შუქით,
მზისგან გამორჩეული!
დაე, ფითრი იყოს ჩემში,
ასე ხდება ოდითგან...
ეს ტვირთი და ლექსის პანო
ასტრალიდან მოვიდა.

ცივა და...

ტონდოს მსგავსი ღრუბელი,
ცრემლიანი წვიმები,
ტალახი და წურბელა, -
მანც მინის შვილები.
დაღლილობა უძილო,
მონატრება მაისის,
ოცნებები უძირო,
უაისო დაისი.
გაცრეცილი დილა და...
უშენობა ტვირთია,
იცვი, როგორ მტკივა და
რა სიმძიმით მკიდია...
იმედები შეშლილი,
სიცხვე და სველი ცა,
ხეები კი, შიშველი -
შევხედე და ვერ ვიცან...
ზამთრის ღამეს კენტად ვარ,
ღამე ბნელზე ბნელია,
ახლა მხოლოდ დედა ვარ,
თუმც, უშენოდ ძნელია!..
მონყენილი დილა და...
იცვი, როგორ მტკივა და...
ზეცას სევდა ცვივა და...
მცივა... და...

ერთად

იმ წარსულიდან
ამ მომავლიდან,
ვკინძავ საათებს
და ისევ იქ ვარ -
გზის დასაწყისში,
ტრფობის საწყისში,
ლექსით, თუ გრძნობით,
რამდენი ითქვა!
ასეა, ასე არსებობს რადგან,
ბავშვის თვლებით
ვუჭვრეტ ქარავანს,
დროსა და, მერე,
შენთან შეყრილი,
ვხსნი ძლიერ განცდას, -
ქალურ ქარავანს!..
ერთთურთის სუნთქვით
ვსულდგმულობთ რადგან,
არც არა მიყვარს უშენოდ!
ა მ ი ნ !
ყველა სიშავე
ლოცვით გადგა, განს,
გრძნობის კართან ხარ
ყოველი წამით!
მე შენ გეკუთვნის
ადამ-ევადან
და თუ დროებამ
გამოგვდო ფეხი,
ვარ ყავარჯენი!
ხარ ყავარჯენი!
ვერას დაგვაკლებს
თვალი და მეხი!
... იმ წარსულიდან,
თუ მომავლიდან,
ლექსით, თუნდ, გრძნობით
რამდენი ითქვა...
თუ დაგვჭირდება,
ისევ, თავიდან,
გალავნად ვაქცევთ
კლდესა და სიბ ქვას!

ბევრი

ოდნავ ბევრი ხომ არ არის, ღმერთო,
რითმის ფრთებით ზემოთ-ზემოთ ფრენა,
ფუნჯით ფერთა ფარდაგების ფენა,
ნაქარგების წყობა და, თან, რწმენა.
ოდნავ ბევრი ხომ არ არის, ღმერთო,
სარკმლის ნატვრა, - გადავხედო გავლილს,
რალაც, ადრე მოჩანს სიცხე გვალვის,
შუა გზაზე ნუ დამტოვებთ ავლილს...
ოდნავ ბევრი ხომ არ არის, ღმერთო,
ლექსის ბნკარში ოცნებების თესვა,
ბავშვობაში ნაბლის თაფლის შესმა,
მერე თვალში შაბიამნის შესხმა.
ოდნავ ბევრი ხომ არ არის, ღმერთო,
თითებს თითქოს შეეპარა ღარი...
ეს ღიმილიც უფრო რომ ჰგავს ტირილს,
თავად უნდო, რომ არ მინდობს ქმარი...
ოდნავ ბევრი ხომ არ არის, ღმერთო,
მხრებს სიმძიმე შეამატა სევდამ,
მომეხმარე, იმედები შევსვა,
შენც გაიღე, შემომიშვი სეზამ!
ოდნავ ბევრი ხომ არ არის, ღმერთო,
სალამოდან ძლივს მივათრევ დილას,
დილით - ღამე და შუადღე მტკივა,
სხვანი მანც რომ მხედავენ მცინარს...
ოდნავ ბევრი ხომ არ არის, ღმერთო,
მომიმრავლდა ხვეულები დარდის!
ღამით ჩემთან უძილობა დადის,
ცრემლი მომდის და გულ-მკერდზე დამდის...
ოდნავ ბევრი ხომ არ არის, ღმერთო! -
შვილებს მანც ენატრებათ დედა!
მერე ვიბრძვი, ოცნებებსაც ვბედავ!
თან ვხატავ და, თან, ვერაფერს ვხედავ...
ოდნავ ბევრი ხომ არ არის, ღმერთო!..
სიყვარული გაიტაცა უცხომ,
ჩაქრა სხივი, სისხამზე რომ ენთო,
მე კი, ისევ, შთაგონებას ვუხმობ...
ოდნავ ბევრი ხომ არ არის, ღმერთო,
ცოდნის კართან ტკივილები გდია!
არ შემატყოს, არ აცრემლდეს დღე, რომ...
მე მარადი სიყვარული მქვია!
ოდნავ ბევრი ხომ არ არის, ღმერთო,
ოჯახს თითქოს მოვაკელი სიტბო,
ვუფრთხილდები, არ დავღვარო სიტკბო,
მერე ჩემი ხუთი შვილიც მითმობს...
მართლა, ბევრი ხომ არ არის, ღმერთო,
ეს, ამდენი გულს ნასროლი ტყვია...
ო, რამდენი სათქმელია, უტყვი
და ყველაფერს ჩემი დარდი ჰქვია...